

**მრგვალი მაგიდა: ტრადიციული მუსიკა და თანამედროვე საზოგადოება  
სამყვანი თაონა ლომსაძე**

**ნამყვანმა ისაუბრა** გლობალიზაციით გამოწვეული საცხოვრებელი ადგილისა და გარემოს მკვეთრი ცვლილებების გამო თანამედროვე საზოგადოებაში ტრადიციული მუსიკის ფუნქციონირების ახალი ფორმების/ხერხების გაჩენის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ეს ფორმები ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესის შედეგად შეიქმნა და ფოლკლორული მუსიკის სხვადასხვაგვარი მანიფესტაციის არსებობა გამოიწვია. მუსიკის განახლების პროცესის შესწავლაში ერთ-ერთი პიონერი, ამერიკელი ეთნომუსიკოლოგი თამარა ლივინგსტონი ამ მოვლენის შემდგენიარ განსაზღვრებას გეთავაზობს: „მუსიკის განახლების მოძრაობა წარმოადგენს ნებისმიერ სოციალურ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავს იმ მუსიკალური ტრადიციების აღდგენასა (რესტავრაციას) და შენახვას, რომელსაც თანდათანობით დაკარგვის ან სამუდამოდ წარსულში გაქრობის საფრთხე ემუქრება. თუმცა უნდა ითქვას, რომ არსებობენ კულტურები, რომლებიც მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციის უწყვეტი განვითარების გამო ტრადიციის აღდგენის აუცილებლობის წინაშე არ დგანან, მაგრამ ამ ტრადიციის შენახვის, და შესაბამისად, მისი დაკარგვის საფრთხის თავიდან აცილების პროცესს ბოლო ათწლეულების მანძილზე განსაკუთრებით აქტიურად აწარმოებენ. ქართული ფოლკლორული მუსიკაც ერთ-ერთი მათგანია.

როგორც ქეროლან ბითელი და ჯუნიფერ ჰილი აცხადებენ: „განახლების ყოველი შემთხვევა რაიმე სახის ტრანსფორმაციას ან ინოვაციას იწვევს, იქნება ეს ახალი მუსიკალური სტილი, გადაცემისა და შესრულების ახალი მეთოდები, ახალი ფუნქციები და მნიშვნელობები, თუ თუნდაც ახალი მუსიკალური (სუბ)კულტურა“ (2010).

არსებობს ახლადშექმნილი მუსიკალური სტილები, რომლებიც თანამედროვე მუსიკას თანამედროვე მუსიკალურ გამოხატვასთან აერთიანებს და, ამგვარად, მოარგებს მას თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს. ამავე დროს, ტრადიციული მუსიკა განაგრძობს განვითარებას სოფლად, თუმცა მისი გამოხატვის ფორმები მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე მსოფლიოს მიერ შემოთავაზებულ ტენდენციებთან. ამგვარად, სოფლად შეაღწია ახალმა მოვლენამ, როგორცაა ფოლკ-ტურიზმი. როგორც ვიცით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჯერ კიდევ არსებობობენ სიმღერის ოსტატები ან მომღერალი ოჯახები, რომლებიც მასპინძლობენ ფოლკლორულ ტურებს (უცხოელების ან ქართველების მიერ ორგანიზებულს), რომლებშიც, ძირითადად, ქართული ტრადიციული მუსიკის შესწავლით დაინტერესებული უცხოელები იღებენ მონაწილეობას. ნამყვანმა მაგალითად მოიტანა მომღერალი სოფელი ლახუმი, რომელიც უკვე კარგადაა ცნობილი უცხოელი ტურისტებისთვის დები ჩამგელიანების ოჯახის მიერ დაწყებული საქმიანობის წყალობით, რომელშიც დღეს მთელი სოფელი მონაწილეობს.

ფოლკლორული მუსიკის განახლების ზემოაღნიშნულ თავისებურებებს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ხალხური მუსიკა განახლების პროცესის შედეგად სამი ძირითადი სახით წარმოგვიდგება. ესენია: სასცენო ფოლკლორი, ფოლკლორული ელფერის მქონე თანამედროვე საავტორო ნიმუშები, ე.წ. „ფსევდო-ფოლკლორი“ (კოტრიკაძე, 2019), რომელსაც ჩვენ „პოპ-ფოლკის“ სახელწოდების ქვეშ ვაერთიანებთ და ქართული ფოლკ-ფიუჯენ მუსიკა, რომელიც ტრადიციული მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის მიმდინარეობების (ჯაზი, როკი, პოპი, ელექტრონული მუსიკა და ა.შ.) სინთეზის შედეგად შექმნილ მუსიკალურ ერთეულს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე დიდი სტილური მრავალფეროვნებით ხასიათდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში საქართველოში, ისევე, როგორც ყველგან სხვაგან, ტრადიციული მუსიკა, ნაწილობრივ, ონლაინ ფორ-

მატში გადავიდა და შეიქმნა მისი მანიფესტაციის სხვადასხვა გზა ონლაინ პლატფორმების საშუალებით: მაგალითად, ონლაინ კონცერტები, გუნდის რეპეტიციები, სასწავლო სესიები და ონლაინ სადღესასწაულო შეკრებების დროს სიმღერაც კი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გავრცელებული იყო პანდემიის დასაწყისში.

მრგვალი მაგიდის განხილვის საგანი იქნება ტრადიციის მატარებლების, მუსიკოსების, ეთნომუსიკოლოგების პერსპექტივიდან დანახული თანამედროვე გამოწვევები თუ სარგებლობა, რაც ტრადიციულ მუსიკას მოაქვს, შესაბამისად, ჩვენ ვეცდებით, დისკუსია შედგეს იმ ადამიანებს შორის, ვინც სხვადასხვა როლს ასრულებენ ტრადიციული მუსიკის ფუნქციონირების პროცესში და ასე შევუწყობთ ხელი მომავალ დიალოგს მათ შორის.

მრგვალი მაგიდის თემა უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე საზოგადოებაში ტრადიციული მუსიკის ფუნქციონირების პრობლემატიკას COVID-19-ის გამოჩენის პირობებში, შესაბამისად ეს უკანასკნელი საკითხი, ასევე, იქნება მრგვალი მაგიდის მსჯელობის ერთ-ერთი საგანი.

მან მსმენელებს მოასმენინა ფრაგმენტები ფოლკფოიუჟენის რამდენიმე ნიმუშიდან: დავით მაღაზონიას კომპოზიცია ანსამბლი „ირიას“ შესრულებით, ანსამბლ „კახაბერ და ხანუმების“ „ცანგალა და გოგონა“, ილუშა ცინაძის „დავითარები მთათაო“.

### **მრგვალი მაგიდის თემატიკამ დიდი ინტერესი გამოიწვია დისკუსიის მონაწილეებში.**

**იოსებ ჟორდანიამ (ავსტრალია/საქართველო)** აღნიშნა, რომ მსოფლიოს მუსიკოსები გააერთიანა მუსიკის ჩამწერმა საშუალებებმა. ქართველი, ისევე, როგორც რუსი და დასავლელი ეთნომუსიკოლოგების აზრით, ფოლკლორის ოქროს ხანა იყო 1920-30-იანი წლები, როცა არაჩვეულებრივი მომღერლები იყვნენ და როცა დაიწყო მათი ჩანერა თავიდან ფონოგრაფის, შემდეგ კი მაგნოტოფონის საშუალებით. მაგალითად, კორსიკელების აზრით, შალიაპინი იყო ყველაზე დიდი რუსი მომღერალი, ხოლო ქართველების უდიდესი მომღერალი იყო ვანო სარაჯიშვილი. იგივე უნდა ითქვას კარუბოზე, რომელმაც დროს გაასწრო და რომელიც ცნობილი გახდა მისი ჩანაწერების მეშვეობით, თუმცა მისი თანამედროვე არაერთი დიდი მომღერლის სახელია დავინწყებული. მაგალითად, როცა 1907 წელს დიდი ქართველი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მოკლეს, მეორე დღეს თბილისმა არაფერი იცოდა ამის შესახებ.

ბევრი რამ იცვლება. დღეს მიმდინარეობს დისკუსია, საჭიროა თუ არა ფოლკლორის საერთაშორისო ენაზე თარგმნა — ქართული ფოლკლორი უნდა იყოს ავთენტიკური, თუ საჭიროა მისი ახლებურად სიმღერა.

მაგალითად, დღევანდელი ფლამენკო, დაახლოებით მე-1870-იან წლებში შეიქმნა, მაგრამ არავინ იცის, როგორი იყო რეალური ფლამენკო — თანამედროვე ფლამენკო ეს არის ესპანური მუსიკის გადათარგმნა საერთაშორისო ენაზე. დღეს მსოფლიოს პროგრესი და ტექნოლოგია გვაერთიანებს ასე, რომ დღეს ჩვენ ლატვიელების, ესტონელების, პორტუგალიელების მსგავსი პრობლემები გვაქვს.

**თამაზ გაბისონიას (საქართველო)** აზრით, ფოლკლორში მთავარია, როგორი დამოკიდებულება აქვს ამ მუსიკისადმი შემსრულებელს და არა მუსიკალური პოლიტიკა და გამოთქვა მოსაზრება, შეიქმნას სამეცნიერო საერთაშორისო პორტალი, სადაც ყველა მეცნიერს ექნება საშუალება მოკლედ გამოხატოს თავისი იდეა თუ მოსაზრება.

**ნინო ცაციაშვილმა (ავსტრალია/საქართველო)** გაიხსენა მის მიერ მეღბურნის მონაშის უნივერსიტეტში ჯაზის სწავლების დასაწყისი პერიოდი, როცა აღმოაჩინა, რომ აფრო-ამრიკულ ჯაზში უკვე შეუძლებელია გამიჯნო მისი აფრიკული ფესვები და ევროპული ელემენტები. მაგრამ როცა გაეცნო ქართულ ანსამბლ „შინ“-ს, მათ შესრულებაში დედა-კულტურა ანუ ქართული ფოლკლორი უფრო ავტონომიურია, არ თმობს თავის პოზიციებს და მისი ამოცნობა ძნელი არ არის.

ამავე დროს, კახური სუფრული ბურდონული სიმღერაც სინთეზის შედეგია, მაგრამ დღეს მასში შეუძლებელია რაიმე არაქართულის კვალის აღმოჩენა. ასევე, სინთეზის ნიმუშია ქალაქური დუდუქის მუსიკა, განსაკუთრებით, მრავალხმიანი სიმღერები.

**რუსუდან წურნუშიამ (საქართველო)** მოკლე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ ნინო ციციშვილმა გამოიკვლია კახური სიმღერისა და ინდოევროპული მუსიკალური სტილის სინთეზის საკითხი, მაგრამ ეს მრავალი ათასწლეულის წინათ იყო. ამიტომ ბენე-ბრიჯია, რომ დღეს, ტრადიციული ქართული სიმღერისა და დასავლური პოპ მუსიკის ახალი სინთეზის პირობებში ძალიან ადვილია ამ სინთეზის შემადგენლების გამიჯვნა. ხალხათ, ევოლუციის შედეგად შესაძლებელია მომავლაში რაღაც ახალი მივიღოთ, მაგრამ ეს ძალიან შორეული პერსპექტივის საქმეა.

**ულრის მორგენშტერნმა (ავსტრია)** აღნიშნა, რომ ტრადიციული მუსიკას თანამედროვე საზოგადოებაში სხვადასხვა ფუნქცია აქვს. ავსტრიული გამოცდილება გვეუბნება, რომ ძალიან დიდ როლს ასრულებს მედია, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში. მან ხაზი გაუსვა სხვადასხვა საშუალებებს — სანოტო ჩანაწერებმა, ჩამწერი საშუალებების გაჩენამ, სხვადასხვა საკრავის შემოსვლამ დიდი გავლენა მოახდინა ზეპირ შემსრულებლობაზე.

**ყანა პარტლასმა (ესტონეთი)** ყურადღება გაამახვილა ტერმინოლოგიურ საკითხზე, რადგან მიაჩნია, რომ ტერმინი შესაძლებლობას იძლევა ყველასთვის გასაგები გახადოს იდეის არსი. მან აღნიშნა, რომ განხილული საკითხის ტერმინოლოგიური განსაზღვრის მიმართულებით განსხვავებული მიდგომები არსებობს. ამათგან, მეცნიერის აზრით, ინგრედ აკესონის მიერ თანამედროვე ფოლკლორში გამოყოფილი სამი მიმართულება: Revitalization, Reshaping და Redoing - გაცოცხლება, ფორმის ხელახალი მიცემა და ხელახალი გაკეთება კარგად მიესადაგება ლომსაძის მიერ განხილულ სამ ფორმას და შეიძლება ამ ფორმების აკესონის ტერმინებით დეფინირება. მეცნიერის აზრით, ლომსაძის მიერ წარმოდგენილი ტერმინოლოგია კი შესაძლოა, ყველასათვის გასაგები არ იყოს და ის მეტი სიცხადის შეტანას საჭიროებს.

**ათონა ლომსაძემ** უპასუხა, რომ რევიტალიზაცია, ხელახალი ფორმის მიცემა და ხელახალი გაკეთება წარმოადგენს პროცესებს, რომლებსაც ახალგაზრდა მეცნიერის მიერ შერჩეული „მუსიკის განახლების“ (Music Revival) ქოლგა-ტერმინი თავის თავში აერთიანებს. ლომსაძის მიერ განხილული სამი ფორმა (სასცენო ფოლკლორი, პოპ-ფოლკი და ფოლკ-ფიუჟენი) კი სწორედ ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების ამ მასშტაბურ პროცესში გამოვლენილი ახალი მუსიკალური სტილები თუ მიმართულებებია. შესაბამისად, აკესონის ტერმინებით მათი დეფინირება შეუძლებელია. აქვე, მეცნიერმა აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია, რომ მის მიერ შემუშავებული ტერმინოლოგია არაა უნივერსალური, არამედ მთლიანად ქართულ ფოლკლორზეა მორგებული და ის ზუსტად პასუხობს, იმას, რაც ქართულ ფოლკლორში ხდება.

**მარიო მორელიმ (კანადა)** დასვა შეკითხვა: რა განაპირობებს ანსამბლ „მანდილის“ ასეთ დიდ წარმატებას და ინვეს დიდ ინტერესს ქრთელი კულტურისადმი — მის ვიდეოს მილიონზე მეტი ნახვა აქვს, რაც უთუოდ გასაკვირია, განსაკუთრებით ფოლკლ რული ანსამბლისათვის.

**თონამ ლომსაძემ** განმარტა, რომ „მანდილი“ არაორდინარული ანსამბლია, მათმა პირველმა სეზონმა დიდი მოწონება დაიმსახურა — ისინი ჩვეულებრივი ახალგაზრდა გოგონები არიან, რომლებიც ქალაქიდან მოშორებით გზაზე მოდიან და მღერაინ — სხვათა შორის, არცთუ ცუდად. როგორც ჩანს, მნახველები მიიზიდა უშუალოდ, ხალისიანმა სიმღერამ, ქართველ მამაკაცთა ჩვეული ანსამბლებისაგან განსხვავებულმა ვიზუალმა. შემდეგ მათ გამოეხმაურა უკრაინელი პროდუქტორი, რომელიც ერთსა და იმავე დროს, ურჩევს მათ რეპერტუარს და არის რეჟისორიც. მან მარკეტინგულად კარგად შეფუთა პროდუქტი, რამაც ანსამბლის პოპულარობა განაპირობა. მე მათ შეეხვდი ესტონეთში, ფესტივალზე, სადაც მენეჯერად ვმუშაობდი, მქონდა საშუალება გავცნობოდი მათ —

ესენი იყვნენ ცოცხალი, ბედნიერი, ძალიან პოზიტიური ახალგაზრდები, ისინი თანამედროვე სამყაროს ნაწილი არიან, ოღონდ საქართველოდან. ფაქტობრივად, ქართული ფოლკლორის ისეთი დიდი ცოდნა არც აქვთ, როგორც სხვა ფოლკლორული ანსამბლები მომღერლებს და, ძირითადად, უცხოელ მსმენელებში აქვთ წარმატება.

**მიგუელ ანჯელ სანტელა (ვენესუელა-ნიდერლანდები)** შეეხო ტრადიციულ მუსიკაში ექსპერიმენტირების საკითხს. მისი აზრით, ჩვენ ზუნდა გავითვალისწინოთ დროის ფაქტორი — ეს დროში შემჭიდროებული კი არა, დროში განვლილი პროცესია, იგი უსასრულოდ გრძელდება, სანამ ხალხს სურვილი აქვს ეს აკეთოს. რალაც ახალი რომ შექმნა, ამას სპეციფიკური ნიჭი ესაჭიროება, ეს არის ნაბიჯი წინ. არის კიდევ ერთი — კომერციალიზაციის საკითხი, ტრიო „მანდილის“ მაგალითი ძალიან საინტერესოა, ეს არის ერთგვარი გადახრა ერთი და იმავე ნაკადიდან, ეს არის ჟანრის ხანგრძლივი ევოლუცია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უნდა და ხანგრძლივად მოუნდება ხალხს ამის კეთება.

**რიტის ამბრაზევიჩისმა (ლიეტუვა)** თავის ქვეყანაში არსებული მდგომარეობა გაიხსენა და აღნიშნა, რომ ისიც ემხრობა აკესონის ტერმინოლოგიას, თუმცა მას მიაჩნია, რომ თეონა ლომსაძის დასახელებული ტერმინოლოგია სასცენო ფოლკლორთან და ფიუჟენთან დაკავშირებით მართებულია. იგი პოპ-ფოლკლორსაც შეიყვანდა ფიუჟენში, რადგან მათ შორის განსხვავებას ვერ ხედავს. მან, ასევე, გაიხსენა საბჭოთა პერიოდში არსებული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, რომელთა წარმოდგენებიც თავისებურ ფიუჟენს წარმოადგენდა. ასევე, მაგალითად, დისკუსიის საგანია, რას ვუნდობდით იმ შემთხვევაში, როცა კომპოზიტორი იყენებს აკადემიურ გუნდში ტრადიციული მუსიკის გამოყენებას.. ჩვენთან უფრო შორს წავიდნენ — ამას ბალტიურ მუსიკას ეძახიან — ბალტიის ხალხები ქრისტიანობამდე ბუნებას სცემდნენ თაყვანს, დღეს ელექტრონულ მუსიკის საშუალებით მუსიკოსები გადმოსცემენ ბუნების ხმებს — ფოთლების შრიალს, წყლის ხმაურს და ა.შ. და მიუხედავად იმისა, რომ ამ მუსიკას ტრადიციულთან არავითარი კავშირი არ აქვს, ამას მაინც ტრადიციულ მუსიკას უწოდებენ.

**თეონა ლომსაძემ** მოკლედ განმარტა, რა განსხვავებას ხედავს ფოლკ-ფიუჟენსა და პოპ-ფოლკს შორის. მისი აზრით, ეს უკანასკნელი შექმნილია ხალხური მუსიკის ელემენტებისგან, მაგრამ იგი უფრო მარტივი და დემოკრატიულია, ტექსტი — ძალიან სტანდარტიზებული, მას ჰყავს ერთი გმირი — ახალგაზრდა კაცი, გამოხატავს მშობლიური მხარის სიყვარულს... მიუხედავად ქართული ფოლკლორის დიალექტების მრავალფეროვნებისა, აქვს ძალიან ლიმიტირებული ინტონაციური სამყარო — ძირითადად, აგებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის სიმღერებზე. ეს არ არის დასავლური პოპ-მუსიკა, მაგრამ მუსიკალური მახასიათებლები იგივე აქვს, რაც დასავლურ პოპს, იგი ძალიან პოპულარულია, მას ხალხი სიამოვნებით უსმენს, ჩემი აზრით, ეს ტერმინი კარგად გამოხატავს ამ მუსიკის ხასიათს. ჭმისგან განსხვავებით, ფოლკ-ფიუჟენში არის მკაფიოდ გამოკვეთილი ფოლკლორული ელემენტები, რომლებიც შერწყმულია თანამედროვე დასავლური მუსიკის სხვადასხვა სტილთან, როკთან, ჯაზთან და სხვ.

**გორდანა ბლაგოვიჩმა (სერბეთი)** აღნიშნა, რომ მსგავსი კვლევა ჩატარა სერბეთში და ბებიებმა ძალიან კარგად მიიღეს ფოლკ-ფიუჟენი — დღეს ახალგაზრდები ჩვენს სიმღერებს ასე მღერიანო, მაგრამ რიგორისტმა ეთნომუსიკოლოგებმა დაგმეს და ტრადიციიდან გადახვევად ჩათვალეს. მე ვიზიარებ იმ აზრს, რომ მუსიკა შიგნით ყველას თავისი აქვს და დავესესხები ბატონ იოსებს ჟორდანიას, რომ როცა მუსიკის ჩაწერა იწყება, ყველას უნდა რალაც თავისი შეიტანოს მასში.

**მრგვალი მაგიდის დასასრულს წამყვანმა, თეონა ლომსაძემ მადლობა გადაუხადა მონაწილეებს, რომელთაც, თავის მხრიდან, მასაც გადაუხადეს მადლობა და გამოხატეს კმაყოფილება საინტერესო დისკუსიის გამო.**